საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

**ქ.ზუგდიდი**

**01.03.2019 წელი**

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №19**

**ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-19 მუხლის „ზ" პუნქტის და „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

1. დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. №12).

**საკრებულოს თავმჯდომარის**

**მოვალეობის შემსრულებელი** **ზესიკ ჭეჟია**

დანართი

# ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მისია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, განახორციელოს ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივები და უზრუნველყოს სხვადასხვა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის ძალისხმევის გაერთიანება ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებისას.

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ხედვა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო არის გამჭვირვალე ორგანო, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის ფორმირებაში მუნიციპალურ დონეზე და ახორციელებს ეფექტურ ღონისძიებებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის.

## ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანები

1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მხარდაჭერა;
2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება, მუშაობის გააქტიურება და ცნობადობის ამაღლება;
4. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ნორმატიული აქტების ანალიზი და წინადადებების შემუშავება გენდერულად მგრძნობიარე საკითხების წარმოსაჩენად ან არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად;
5. გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემუშავება;
6. გენდერზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში;
7. გენდერული მიმართულებების დანერგვა-განხორციელება;
8. არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;
9. ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე;
10. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება;

11. საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გენდერული პოლიტიკის გაძლიერებისათვის;
12. გენდერული მონიტორინგის განხორციელება;
13. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის ხელშეწყობა;
14. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წამოწეული საკითხების შესწავლა/ადვოკატირება;
15. მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
16. გენდერული თანასწორობის საბჭოს თვითშეფასება გენდერული მიმართულების კომპონენტების გათვალისწინებით.

| ამოცანა | საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1.საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მხარდაჭერა; | 1.1. საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტის გაცნობა; | 1.1.1. კონცეფცია განხილულია საბჭოს სხდომაზე;<br>1.1.2. ჩატარებულია სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან;<br>1.1.3. ჩატარებულია განხილვა ჩართულ მხარეებთან; | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო; არასამთავრობო სექტორის და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები; | 2019 წელი;<br><br>I კვარტალი |
| 2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება; | 2.1 საბჭოს მიერ სხვადასხვა სამსახურებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით სამუშაო შეხვედრების ჩატარება და გეგმის დრაფტის შემუშავება; | 2.1.1. საკრებულოს მიერ დამტკიცებული მინიმუმ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; | გენდერული თანასწორობის საბჭო; | 2019 წლის<br><br>I კვარტალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება, მუშაობის გააქტიურება და ცნობადობის ამაღლება; | 3.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება;<br><br>3.2. მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროების მიხედვით გენდერული მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლა და ანგარიში;<br><br>3.3. ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობა; | 3.1.1.გეგმა შემუშავებულია თანასწორობის საბჭოს წევრებთან, მუნიციპალიტეტში გენდერის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციით;<br><br>3.2.2. გეგმა განხილულია და დამტკიცებულია საბჭოს წევრების მიერ;<br>3.2.3. ჩატარებულია საკონსულტაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;<br>3.2.4. გეგმა წარდგენილია ყველა ჩართულ მხარესთან;<br>3.2.5. გამოქვეყნებულია გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში;<br>3.2.6. ჩატარებულია გეგმის ყოველწლიური გადახედვა და შესულია ცვლილებები ყოველწლიურად;<br>3.2.7. ჩატარებული საბჭოს შეხვედრებს რაოდენობა<br>3.2.8. შექმნილია გენდერულად სეგრეგირებული მონაცემთა ბაზა;<br>3.3.1. შექმნილია კალენდარი, რომელშიც გათვალისწინებულია დაგეგმილი აქტივობები; | საბჭო;<br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილება;<br>დაინტერესებული ორგანიზაციები;<br>სამიზნე არასამთავრობო სექტორი; | 2019-2020 წწ |
| 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ნორმატიული აქტების ანალიზი და წინადადებების შემუშავება | 4.1. ნორმატიული აქტების გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში; | 4.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ განახორციელა გენდერული გავლენის ანალიზი მინიმუმ ერთ ნორმატიულ აქტზე;<br>4.1.2. გენდერული გავლენის ანალიზი გათვალისწინებულია განმარტებითი ბარათის ახალ პროექტში; | საბჭო; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;<br>არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით; | 4.1.1.-2019 წლის მაისი-დეკემბერი;<br>4.1.2.-2019-2020 წ;<br>4.1.3.-2019-მაისი-დეკემბერი; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გენდერულად მგრძნობიარე საკითხების წარმოსაჩენად ან არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად (ასეთის არსებობის შემთხვევაში); | | 4.1.3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს გავლილი აქვთ გენდერული გავლენის ანალიზის ტრენინგ კურსი; | | |
| 5. გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემუშავება; | 5.1. საბჭოს მიერ მუნიციპალური პროგრამების ანალიზი და წინადადებების შემუშავება პრობლემური საკითხების წარმოსაჩენად;<br><br>5.2. გენდერულ ჭრილში ანალიზისათვის მუნიციპალური პროგრამების დანაწილება საბჭოს წევრებს შორის (კომისიების მიხედვით); | 5.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს მიწოდებული აქვს ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგია;<br><br>5.2.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ განხორციელებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი;<br>5.2.2. მუნიციპალიტეტში შემუშავებულია | | 2019-2020 წწ |
| | | წინადადებები და რეკომენდაციები მუნიციპალურ პროგრამებში უთანასწორობის გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის;<br>5.2.3.მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერულ თანასწორობაზე და გენდერულ საჭიროებებზე ორიენტირებული საბიუჯეტო პოლიტიკა;<br>5.2.4. გენდერული თანასწორობა რეგლამენტირებულია ჩანაწერის სახით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში და მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ სხვა სამართლებრივ აქტებში;<br>5.2.5. ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების განაწილება შეესატყვისება იმ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ვალდებულებებს, რომელიც აღებული აქვს სახელმწიფოს სიღარიბის დაძლევის და გენდერული თანასწორობის მიღწევის ფარგლებში;<br>5.2.6. ადგილობრივი პროგრამები და მათ განხორციელებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ასახავს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ და სპეციფიურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს;<br>5.2.7. ბიუჯეტის სახსრები მიმართულია ქალთა სპეციფიკური პრობლემების მოსაგვარებლად, არსებობს ქალთა ჯანმრთელობაზე მიმართული პროგრამები( ქალის მუძუს, ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგი, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, ქალთა დასაქმებაზე ორიენტირებული პროგრამები, ბავშვთა მოვლის სერვისების (პროგრამები, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამები);<br>5.2.8. შეგროვებულია მონაცემები, რამდენი ქალი და მამაკაცი იღებს სარგებელს ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული სერვისებისაგან (ჯანდაცვა, სოციალური, სოფლის მეურნეობის განვითარება, დასაქმების ხელშეწყობა, სკოლამდელი და ზოგადი განათლება);<br>5.2.9. მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სახსრების გამოყოფისას ქალების და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებები და პრიორიტეტები; | | |
| | 5.3. მუნიციპალურ პროგრამებში გენდერული უთანასწორობის გამოვლენის შემთხვევაში | 5.3.1. მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერულ თანასწორობაზე და გენდერულ საჭიროებებზე ორიენტირებული საბიუჯეტო პოლიტიკა; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება; | 5.3.2. გენდერული თანასწორობა რეგლამენტირებულია ჩანაწერის სახით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში და მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ სხვა სამართლებრივ აქტებში; | | |
| | 5.4. წარმატებული პროგრამების წარმოჩენა; | 5.4.1. ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების განაწილება შეესატყვისება იმ ვალდებულებებს, რომელიც აღებული აქვს სახელმწიფოს სიღარიბის დაძლევის და გენდერული თანასწორობის მიღწევის ფარგლებში; | | |
| | 5.5. ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე გენდერული ასპექტების გათვალისწინება ბიუჯეტის განხილვისას; | 5.5.1. ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა;<br>5.5.2. ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში, სოფლის კრებებსა და სხვა შეხვედრებში მონაწილე ქალთა რაოდენობა; | | |
| 6. გენდერზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში; | 6.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერულად მგრძნობიარე სამართლებრივი რეგულაციების ამოქმედება; | 6.1.1. არსებობს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;<br>6.1.2. არსებობს სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების ანალიზის პრაქტიკა, როგორც ბენეფიციარების, ისე თანამშრომლების შესახებ;<br>6.1.3. გენდერული თანასწორობის საკითხები ასახულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამართლებრივ აქტებში; | საბჭო; არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილება; | 2019-2020 წწ |
| | 6.2. ქალთა უფლებების გაძლიერების, დაცვისა და თანასწორობის უზრუნველყოფა; | 6.2.1. უფლება დაცულ ქალ ბენეფიციართა რაოდენობა;<br>6.2.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა რიტორიკაში ისმის გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერი განცხადებები; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6.3. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებების გააქტიურება; | 6.3.1. მუნიციპალიტეტში განხორციელებულია კონსულტაციების რაოდენობა; | | |
| 7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული მიმართულებების დანერგვა-განხორციელება; | 7.1. კადრების შერჩევის, ატესტაციის და სამსახურში აყვანის დროს გენდერული სპეციფიკის გათვალისწინება; | 7.1.1. პოტენციური კანდიდატებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნათა და სამუშაო აღწერილობის ჩამონათვალში ჩართულია გენდერული მგრძნობელობის და გენდერულად ორიენტირებული მმართველობის ზოგადი პრინციპების ცოდნა;<br>7.1.2. შესარჩევ კომისიაში, პოტენციურ კადრებთან გასაუბრებისას ჩართულია გენდერულ საკითხთა ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;<br>7.1.3. კანდიდატის ატესტაციის /საკონკურსო ნუსხაში გათვალისწინებულია გენდერული საკითხები; | საბჭო;<br>არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით;<br>ზუგდიდის მუნიციპალტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილება; | 2019-2020 წწ |
| 8.არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტში; | 8.1. ქალი და მამაკაცი დაქირავებული მოხელისათვის უზრუნველყოფილია პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების და კარიერული ზრდის თანაბარი შესაძლებლობა; | 8.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფის სტანდარტები/ ინსტრუქციები.<br>8.1.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ზრუნავს დასაქმებულების გენდერული საკითხების ცნობიერების ამაღლებაზე;<br>8.1.3. ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განკუთვნილი ფონდიდან დახარჯულია სახსრები იმ ტრენინგებისათვის, რომლებიც ეძღვნება გენდერის თემატიკას;<br>8.1.4. ადგილობრივ ხელისუფლებაში შეფასებულია გენდერული ცოდნის დონე | საბჭო;<br>არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით;<br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილება; | 2019-2020 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | და შედეგებიდან გამომდინარე არსებობს რეაგირების ფაქტები;<br>8.1.5. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეგროვებულია ინფორმაცია ტრენინგებში მონაწილეთა შესახებ (დადგენილია ტრენინგებში მონაწილე ქალების და მამაკაცების რაოდენობა);<br>8.1.6. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წახალისებულია ქალთა სამოქალაქო აქტივობები;<br>8.1.7. მუნიციპალიტეტში დასაქმებისას ქალები და მამაკაცები სარგებლობენ თანაბარი სარგებლით /ბენეფიტებით (დაზღვევა, ფეხმძიმე ქალებს ეძლევათ თავისუფალი დრო სამედიცინო შემოწმების გასავლელად, ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია დეკრეტული შვებულება, მეძუძური და ჩვილი შვილების დედებისათვის არსებობს დამატებითი დროის აღების შესაძლებლობა, მუნიციპალიტეტში შეფასებულია/გაანალიზებულია ბავშვთა მოვლის დაწესებულების საჭიროება და ხდება მისი საჭიროებისამებრ უზრუნველყოფა, არსებობს სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ შიდა ინსტიტუციური რეაგირების მექანიზმები, ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უწყობს სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას საკუთარ უწყებაში); | | |
| 9. ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე; | 9.1. შესაძლებლობების ზრდა ლიდერული პოზიციების დაკავებისათვის; | 9.1.1. მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას გააჩნია გენდერულად დანაწევრებული მონაცემები მუნიციპალურ ერთეულში ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ; | საბჭო; არასამთავრობო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით; | 2019-2020 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 9.1.2. მუნიციპალიტეტს გააჩნია მონაცემები დასაქმებულ ქალთა რაოდენობის;<br>9.1.3. ქალები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ახდენენ ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე;<br>9.1.4. ბავშვთა მოვლის სერვისები შესაბამისობაშია ქალთა საჭიროებებთან (ბაღების რაოდენობა; მომუშავე დედებისათვის არსებობს ღამის საათებში ბავშვის მოვლის სერვისები). | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილება; | |
| 10. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება; | 10.1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა; | 10.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია გენდერული თანასწორობის საბჭო;<br>10.1.2. მუნიციპალიტეტს ჰყავს გენდერულ საკითხზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი;<br>10.1.3. მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭოს და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მუშაობის დებულება, მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციებით და უფლება-მოვალეობებით;<br>10.1.4. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პარლამენტის გენდერულ თანასწორობის საბჭოსთან მუშაობა კოორდინირებულად მიმდინარეობს;<br>10.1.5. მუნიციპალიტეტში გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები გენდერულ საკითხებზე;<br>10.1.6. მუნიციპალიტეტში გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელ პირები ფლობენ გენდერულ თანასწორობაზე | საბჭო; მერიის გენდერის განყოფილება; სახელმწიფო სტრუქტურები; არასამთავრობო ორგანიზაციები; | 2019-2020 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პასუხისმგებელი პირების შესაბამის ცოდნას გენდერულ საკითხებზე;<br>10.1.7. ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვის, განსაზღვრის თუ მიღების დროს ხორციელდება კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან;<br>10.1.8. გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების და საბჭოს მიერ ხორციელდება ადგილობრივი პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შედეგების შეფასება გენდერული კრიტერიუმებით;<br>10.1.9. საბჭოსა და გენდერზე პასუხისმგებელი პირების თანამშრომლობა მიმდინარეობს აქტიურად ქალთა უფლებებსა და გენდერზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან;<br>10.1.10. გენდერულ საკითხებში ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირების ცნობიერების ამაღლებისათვის განხორციელებულია მეთოდური კონსულტაციები;<br>10.1.11. განხორციელებული საქმიანობების შესახებ, მიღწევებისა და გამოწვევების საკითხებზე ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს შორის;<br>10.1.12. ორგანიზებულია გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლების ერთიანი შეხვედრები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების მიერ; | | |
| 11. მომსახურების მიწოდება; | 11.1. ადგილობრივ ხელისუფლებაში გენდერულად დანაწევრებული | 11.1.1. მუნიციპალიტეტში შეგროვებულია გენდერულად დანაწევრებული მონაცემები მომსახურების გაწევაზე; | | 2019-2020 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მონაცემთა ბაზის შექმნა მოსახლეობისათვის საჭიროებაზე დაფუძნებული მომსახურების გასაწევად; | 11.1.2. ადგილობრივ ხელისუფლებაში არსებობენ მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირები და მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა გენდერული ანალიზის განსახორციელებლად;<br>11.1.3. ადგილობრივ ხელისუფლებაში მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგები გენდერის და გენდერული ანალიზის შესახებ;<br>11.1.4. მუნიციპალიტეტში მომსახურებები დაგეგმილია ისეთი სპეციფიკური გენდერული კატეგორიების გათვალისწინებით, როგორიც არის მუნიციპალურ ერთეულში მარტოხელა დედების, მრავალშვილიანი დედების, დასაქმებული და დაუსაქმებელი ქალების/დედების, შშმ ადამიანების და ა.შ. რაოდენობა და მათი საჭიროებები;<br>11.1.5. შეგროვებულია ინფორმაცია ქალების და მამაკაცების პრობლემების, შესაძლებლობების, საჭიროებების შესახებ და ამაზე დაყრდნობით დაგეგმილია მომსახურების მიწოდება;<br>11.1.6. განხორციელებულია მიწოდებული მომსახურების ზეგავლენის ანალიზი ქალებზე და კაცებზე; | | |
| | 11.2. ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება; | 11.2.1. მუნიციპალიტეტის კრიზისული ცენტრისადმი ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართვიანობის რაოდენობა;<br>11.2.2 ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12. გენდერული მონიტორინგის განხორციელება; | 12.1. გენდერული მონიტორინგი მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მოქმედებების ეფექტურობისა და შედეგების შესაფასებლად წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით; | 12.1.1. განხორციელებულია მიწოდებული სერვისების შეფასება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების გათვალისწინებით;<br>12.1.2. წინასწარ განსაზღვრულია მიწოდებული სერვისისაგან მოსალოდნელი შედეგები და ამ შედეგის ხარისხი;<br>12.1.3. მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობისათვის მიწოდებულ მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირთა ჯგუფი;<br>12.1.4. მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერული მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგია;<br>12.1.5. მონიტორები გათვითცნობიერებულნი არიან გენდერულ საკითხებში და მათ უტარდებათ ტრენინგები გენდერული მონიტორინგის განხორციელების და გენდერული ანალიზის საკითხებში;<br>12.1.6. გათვალისწინებულია მონიტორინგის შედეგები სამომავლო პროგრამების და მომსახურების დაგეგმვა. | საბჭო;<br>არასამთავრობო ორგანიზაციები; | 2019-2020 წწ |
| 13. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის ხელშეწყობა; | 13.1. მოსახლეობის მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში; | 13.1.1. სამოქალაქო საზოგადოების, თემის წარმომადგენელები ჩართულია მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა და გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობაში;<br>13.1.2. თვითმმართველობა ინფორმირებულია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე;<br>13.1.3. მუნიციპალიტეტში შექმნილია სამოქალაქო საზოგადოებრივი საბჭოები; | | 2019-2020 წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 13.1.4. მოსახლეობისაგან შემოსულია წინადადებები, პეტიციების რაოდენობა;<br>13.1.5 ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობასთან ჩატარებულია შეხვედრები და შეგროვებულია ამ შეხვედრებში მონაწილე მოსახლეობის შესახებ გენდერულად დანაწევრებული ინფორმაცია და ამ შეხვედრების რაოდენობა; | | |
| 14. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ინიცირებული საკითხების შესწავლა/ადვოკატირება; | 14.1. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მოძიება და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა;<br><br>14.2. ,,ღია კარის" დღეების ორგანიზება; | 14.1.1. განხორციელებულია ერთობლივი პროექტები გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად;<br>14.1.2. შემუშავებულია ერთობლივი რეკომენდაციები გენდერული პოლიტიკის გატარებისათვის;<br><br>14.2.1. ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა. | საბჭო;<br>არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები; | 2019-2020წწ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15. მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო პირთან თანამშრომლობის გაძლიერება | 15.1. საბჭოში განსახილველი საკითხების მომზადება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილების მიერ;<br>15.2. მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება;<br>15.3 მერიის შესაბამისი სამსახურის კოორდინირებული მუშაობა სახალხო დამცველის წარმომადგენლობასთან<br>15.4. გენდერული უთანასწორობის იდენტიფიკაცია და ანალიზი;<br>15.5. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა; | 15.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილების მიერ მომზადებულია შესაბამისი ანგარიშები;<br>15.2.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილებაში არსებული სტატისტიკური მონაცემები;<br>15.3.1.სახალხო დამცველის წარმომადგენლობასთან დაგეგმილი შეხვედრების რაოდენობა.<br>15.4.1. იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად გაწეული კონკრეტული ღონისძიებების რაოდენობა;<br>15.5.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილების მიერ წარმოდგენილია ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ; | საბჭო; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა განყოფილება; სახალხო დამცველის წარმომადგენლობის ოფისი. | 15.1<br>15.2<br>15.3<br>15.4-წლის განმავლობაში;<br>15.5-წლის ბოლო; |
| 16. გენდერული თანასწორობის საბჭოს თვითშეფასება გენდერული მიმართულების | 16.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს თვითშეფასება OGP-ის ინიციატივის ფარგლებში შექმნილი მეთოდოლოგიით; | 16.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი იცნობს ღია მმართველობის საბჭოს ინიციატივის ფარგლებში შექმნილ გენდერულ მეთოდოლოგიას;<br>16.1.2. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ | ღია მმართველობის საბჭო (OGP); გენდერული თანასწორობის საბჭო; | 16.1.1.<br>16.1.2.<br>16.1.3.-2019-2020; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომპონენტების გათვალისწინებით; | | განხორციელებულია თვითშეფასება გენდერული კომპონენტების გათვალისწინებით;<br>16.1.3. თვითშეფასება განხორციელებულია მინიმუმ ორჯერ; | არასამთავრობო ორგანიზაციები; | |